

1.

**კითხვა:** რომელი ფარმაცევტული პროდუქტები გამოიწერება ელექტრონულ რეცეპტზე?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტი გამოიწერება მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტებისათვის ანუ მხოლოდ ფორმა №3 რეცეპტი იწარმოება ელექტრონულად.

2.

**კითხვა:** მე-2 ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტები გამოიწერება მხოლოდ ელექტრონულად თუ შესაძლებელია მათი ქაღალდის მატარებელზე გამოწერაც?

**პასუხი:** მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტები გამოიწერება როგორც მატერიალურად (ქაღალდის მატარებელზე), ასევე, ელექტრონულად (ელექტრონული რეცეპტი).

3.

**კითხვა:** ვის აქვს უფლება გამოწეროს ელექტრონული რეცეპტი?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტის გამოწერის უფლება აქვს ექიმს, რომელიც ფლობს მოქმედ სახელმწიფო სერტიფიკატს, აქვს ვალიდური (აქტიური, არაშეჩერებული) პირადი ნომერი და დარეგისტრირებულია რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში.

4.

**კითხვა:** ექიმი, რომელიც უკვე რეგისტრირებულია რეცეპტის (ფორმა N3) ბეჭდვის ელექტრონულ სისტემაში საჭიროებს თუ არა განმეორებით რეგისტრაციას?

**პასუხი:** ექიმი, რომელიც დარეგისტრირებულია რეცეპტის (ფორმა N3) ბეჭდვის ელექტრონულ სისტემაში, რომელიც მას აძლევს ფორმა №3 რეცეპტის ამობეჭდვის შესაძლებლობას, ელექტრონული რეცეპტის გამოწერის მიზნით საჭიროებს განმეორებით რეგისტრაციას ელექტრონული რეცეპტის სისტემაში.

5.

**კითხვა:** შესაძლებელია თუ არა სამედიცინო დაწესებულების რეგისტრაცია ელექტრონული რეცეპტის გამოწერის მიზნით?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტის გამოწერის უფლება აქვს მხოლოდ ექიმს. შესაბამისად, რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში სამედიცინო დაწესებულების რეგისტრაცია ვერ მოხდება.

6.

**კითხვა:** რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ექიმი, რომელსაც სურს რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირება?

**პასუხი:** ექიმი უნდა ფლობდეს მოქმედ სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში და ვალიდურ (აქტიური, არაშეჩერებული) პირად ნომერს.

7.

**კითხვა:** შესაძლებელია თუ არა რეცეპტის გამოწერა იმ შემთხვევაში, როცა ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი არ არის მოქმედი?

**პასუხი:** იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატი გაუქმებულია ან მისი მოქმედება შეჩერებულია, ექიმს უწყდება/გარკვეული ვადით უჩერდება (სერტიფიკატის შეჩერების ვადიდან გამომდინარე) წვდომა ელექტრონულ სისტემაზე. შესაბამისად, მას არა აქვს შესაძლებლობა, გამოწეროს ელექტრონული რეცეპტი.

8.

**კითხვა:** როგორ რეგისტრირდება ექიმი რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტის სისტემაში ჩართვის მიზნით, მომხმარებელმა - ექიმმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ელექტრონული რეცეპტის ვებ-გვერდზე: <http://eprescription.moh.gov.ge/login.php>, სადაც მას შეაქვს: ა) პირადი ნომერი და დაბადების თარიღი, ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის სერია და ნომერი, გ) სხვა ინფორმაცია (მაგალითად, ელექტრონული ფოსტა), რომელიც შემდგომი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფადაა საჭირო.

9.

**კითხვა:** როგორ შედის რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში უკვე დარეგისტრირებული ექიმი?

**პასუხი:** რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირების შემდგომ ექიმი ფლობს რეცეპტის ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელს (პირადი ნომერი) და პაროლს, რითაც ის გადის ავტორიზაციას სისტემაში ყოველი შესვლისას.

10.

**კითხვა:** როგორ არეგისტრირებს ექიმი ელექტრონულ სისტემაში პაციენტს რეცეპტის გამოწერის მიზნით?

**პასუხი:** ექიმი ელექტრონულ სისტემაში პაციენტს არეგისტრირებს პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის შეტანის გზით. ვალიდური პირადი ნომრის მქონე პირი, რომელიც არ არის გარდაცვლილი, რეგისტრირდება პაციენტად.

11.

**კითხვა:** პაციენტის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება ყოველი ელექტრონული რეცეპტის გამოწერისას თუ საკმარისია ერთხელ რეგისტრაცია?

**პასუხი:** პაციენტის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მას ამ ვიზიტის ფარგლებში პირველად გამოეწერება ელექტრონული რეცეპტი. შესაბამისად, ექიმი, რომელსაც პაციენტი მიმართავს სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, ეძებს ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებულ პაციენტს პირადი ნომრის საშუალებით და თუ პაციენტის მონაცემები ელექტრონულ სისტემაში ვერ მოიძებნა, იგი არეგისტრირებს მას.

12.

**კითხვა:** შესაძლებელია თუ არა ელექტრონული რეცეპტის გამოწერა სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტი გამოიწერება მხოლოდ ვალიდური პირადი ნომრის მქონე მოქალაქეებზე. შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ელექტრონული რეცეპტით სარგებლობა არ შეუძლიათ. მათ მედიკამენტის მიღება შეუძლიათ ქალაქის მატარებელზე გამოწერილი რეცეპტის საშუალებით.

13.

**კითხვა:** როგორ ხდება ელექტრონული რეცეპტის გამოწერა?

**პასუხი:** პაციენტის დანიშნულების ფანჯარაში ექიმი შეიტანს სრულყოფილ დანიშნულებას (ყველა ფარმაცევტულ პროდუქტს (მედიკამენტს)), მათ შორის, ურეცეპტოდ გასაცემს, ფარმაცევტული პროდუქტის დასახელების, ფორმის, დოზის, რაოდენობის და მიღების წესის მითითებით. ფარმაცევტული პროდუქტის შერჩევა ხორციელდება ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივი რეესტრიდან, რომელიც ჩამოიშლება/გამოდის ეკრანზე. დანიშნულებაში მითითებული იმ ფარმაცევტული პროდუქტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება ფორმა №3 რეცეპტის გამოწერის საჭიროება, ელექტრონულ სისტემაში გენერირდება ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტი, რომელსაც ავტომატურად ენიჭება უნიკალური ნომერი (F3E+12 ნიშნა რიცხვი).

14.

**კითხვა:** ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივ რეესტრში ფარმაცევტული პროდუქტის ძიება ხორციელდება გენერიკული თუ სავაჭრო დასახელებით?

**პასუხი:** რეესტრში ფარმაცევტული პროდუქტის ძიება შესაძლებელია როგორც გენერიკული, ასევე, სავაჭრო დასახელებით.

15.

**კითხვა:** დანიშნულების ფანჯარაში ფარმაცევტული პროდუქტი როგორი დასახელებით ფიქსირდება?

**პასუხი:** პაციენტის დანიშნულებაში სავალდებულო წესით ფიქსირდება ფარმაცევტული პროდუქტის გენერიკული დასახელება. ამის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ექიმს შესაძლებლობა ეძლევა, მიუთითოს ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო დასახელებაც. ამ მიზნით მან უნდა მონიშნოს სათანადო კლავიშა - „სავაჭრო“. არაგენერიკული და კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერის შემთხვევაში, სავალდებულოა სავაჭრო დასახელების მითითება.

16.

**კითხვა:** რომელი მე-2 ჯგუფის მედიკამენტები არ გამოიწერება ელექტრონულ სისტემაში?

**პასუხი:** ელექტრონულ სისტემაში არ გამოიწერება:

ა) საქართველოს ბაზარზე დამზების უფლების არმქონე (არარეგისტრირებული) ფარმაცევტული პროდუქტი;

ბ) სანარკოზე საშუალებები და პერიფერიული მიორელაქსანტები.

17.

**კითხვა:** როდის არის შესაძლებელი აფთიაქში ელექტრონულ რეცეპტზე გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის იგივე ფარმაცევტული პროდუქტით ჩანაცვლება?

**პასუხი:** აფთიაქში შესაძლებელია ჩანაცვლდეს ფარმაცევტული პროდუქტი იგივე ფარმაცევტული პროდუქტით, მაგრამ განსხვავებული შეფუთვის ფორმით ან შეფუთვაში დოზირებული წამლის რაოდენობით (მაგალითად, შეფუთვის ფორმა - ბლისტერი ან კოლოფი, კონკრეტულ შეფუთვაში ერთი და იგივე დოზის მქონე ტაბლეტების რაოდენობა). ამ შემთხვევაში ექიმის ან პაციენტის თანხმობა საჭირო არ არის.

18.

**კითხვა:** როდის არ არის შესაძლებელი აფთიაქში ელექტრონულ რეცეპტზე გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის იგივე ფარმაცევტული პროდუქტით ჩანაცვლება?

**პასუხი:**

- გახანგრძლივებული მოქმედების, მოდიფიცირებული გამოთავისუფლების და ნაწლავში ხსნადი პრეპარატების, ასევე პარენტერალური წამლის ფორმების გამოწერისას დაუშვებელია იგივე მოქმედი აქტიური ნივთიერების განსხვავებული რაოდენობით შემცველი, იგივე წამლის ფორმით ჩანაცვლება.
- თუ ექიმი დაუშვებლად მიიჩნევს გამოწერილი დოზირებული ფარმაცევტული პროდუქტის ჩანაცვლებას იგივე მოქმედი აქტიური ნივთიერების განსხვავებული რაოდენობით შემცველი, იგივე წამლის ფორმის ადეკვატური რაოდენობით, ამ შემთხვევაში ის აპასიურებს მონიშვნას - „შესაძლებელია ჩანაცვლება“ და აფთიაქს აღარ ეძლევა ფარმაცევტული პროდუქტის ჩანაცვლების საშუალება.

19.

**კითხვა:** როგორ იქცევა ექიმი იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს არ აქვს საშუალება ან სურვილი, ფარმაცევტული პროდუქტი მიიღოს ელექტრონულ სისტემაში გამოწერილი რეცეპტით?

**პასუხი:**

ელექტრონული რეცეპტის სრულად შევსების შემდეგ ექიმი მონიშნავს ელექტრონული რეცეპტის მატერიალური სახით ბეჭდვის საჭიროებას. ამ დროს შევსებული ელექტრონული რეცეპტი იბეჭდება PDF ფორმატში, ხოლო ელექტრონულ სისტემაში მონიშნება ველი - „გაიცა მატერიალური ფორმით“. ამ შემთხვევაში ელექტრონული რეცეპტის გამოწერის თაობაზე ინფორმაცია აისახება ელექტრონულ სისტემაში, მაგრამ რეცეპტის PDF ვერსია გაიცემა მატერიალური ფორმით.

**20.**

**კითხვა:** რამდენია ელექტრონული რეცეპტის მოქმედების მაქსიმალური ვადა?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტის, ისევე, როგორც მატერიალური რეცეპტის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი.

**21.**

**კითხვა:** როგორია ელექტრონული რეცეპტის სტატუსი?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტის სტატუსი შეიძლება იყოს აქტიური/მოქმედი და არააქტიური (პასიური /გაუქმებული).

**22.**

**კითხვა:** გაიცემა თუ არა აფთიაქში ფარმაცევტული პროდუქტი არააქტიური რეცეპტით?

**პასუხი:** ფარმაცევტული პროდუქტი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ელექტრონული რეცეპტის სტატუსი არის აქტიური/მოქმედი. თუ ელექტრონული რეცეპტის სტატუსი არ არის აქტიური (ელექტრონული რეცეპტი არის პასიური/გაუქმებული), მის საფუძველზე ფარმაცევტული პროდუქტი აფთიაქში არ გაიცემა.

**23.**

**კითხვა:** როდის უქმდება/პასიურდება ელექტრონულ სისტემაში გამოწერილი ელექტრონული რეცეპტი?

**პასუხი:** ელექტრონულ სისტემაში რეცეპტი შეიძლება გაპასიურდეს/გაუქმდეს:

ა) მოცემული ელექტრონული რეცეპტით გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) სრულად შექენის შემთხვევაში;

ბ) ელექტრონული რეცეპტის მოქმედების ვადის ამოწურვისას;

გ) ელექტრონული რეცეპტის PDF ფორმატით მატერიალური ფორმით გაცემისას;

დ) ექიმის მიერ (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ექიმმა ფარმაცევტული პროდუქტი დანიშნულების ველში არასწორად შეიტანა ან თუ მოცემული ელექტრონული რეცეპტი გამოყენებულია ნაწილობრივ (აღნიშნული ელექტრონული რეცეპტით შეძენილია ფარმაცევტული პროდუქტის ნაწილი) და სხვადასხვა მიზეზით საჭირო გახდა წამლის მიღების შეწყვეტა და სხვა).

**24.**

**კითხვა:** შესაძლებელია თუ არა ელექტრონულ სისტემაში გამოწერილ რეცეპტში შესწორების შეტანა?

**პასუხი:** მოქმედ რეცეპტში შესწორების შეტანა შეუძლებელია.

**25.**

**კითხვა:** როგორ შედის აფთიაქი რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში?

**პასუხი:** აფთიაქი რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში შედის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსგან მიღებული წვდომის მონაცემების საშუალებით (ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორებისათვის ნებართვის ან შეტყობინების საფუძველზე მინიჭებული კოდი).

**26.**

**კითხვა:** არსებობს შეზღუდვა აფთიაქების რეგისტრაციასთან დაკავშირებით?

**პასუხი:** ყველა აფთიაქს, რომელსაც კანონმდებლობის თანახმად უფლება აქვს, განახორციელოს მე-2 ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია, სურვილისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების (კომპიუტერი, ინტერნეტი) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს, ჩაერთოს რეცეპტის ელექტრონულ სისტემაში.

**27.**

**კითხვა:** როგორ უნდა დარეგისტრირდეს აფთიაქი შესაბამისი მონაცემების მიღების მიზნით?

**პასუხი:** აფთიაქმა უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს.

**28.**

**კითხვა:** ვის აქვს ელექტრონული რეცეპტით კონკრეტული პაციენტისათვის გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის აფთიაქიდან მიღების უფლება?

**პასუხი:** ელექტრონული რეცეპტით კონკრეტული პაციენტისათვის გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის აფთიაქიდან მიღების უფლება აქვს ფარმაცევტული პროდუქტის მიმღებ პირს, რომელიც არის ელექტრონულ რეცეპტში მითითებული პაციენტი ან პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ამ პაციენტის პირადი მონაცემების (პირადი ნომერი) თაობაზე.

**29.**

**კითხვა:** როგორ იქცევა ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორი თუ ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები არ არის პაციენტი?

**პასუხი:** თუ ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები პაციენტისგან განსხვავებული პირია, მაშინ რეალიზატორს სისტემაში შეაქვს ამ პირის პირადი ნომერი, რომელზეც ამოწმებს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, გარდაცვალებას და პირადი ნომრის ვალიდურობას. ინფორმაცია აღნიშნული პირის შესახებ ფიქსირდება ელექტრონულ სისტემაშიც. პიროვნების ვიზუალურად იდენტიფიცირების მიზნით ფარმაცევტული პროდუქტის მიმღებ პირზე საიდენტიფიკაციო მონაცემებთან (პირადი ნომერი, გვარი, სახელი, დაბადების თარიღი) ერთად გამოდის მისი სურათიც.

**30.**

**კითხვა:** რა მონაცემები შეაქვს ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორს ჩამოტვირთულ ელექტრონულ რეცეპტზე?

**პასუხი:** ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორს ჩამოტვირთულ ელექტრონულ რეცეპტზე შეაქვს:

- ა) საკუთარი საიდენტიფიკაციო/უნიკალურ კოდი;
- ბ) ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის თარიღი (ივსება ავტომატურად);



გ) გენერიკული სახელწოდებით გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შემთხვევაში, გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო დასახელება;

დ) ფარმაცევტული პროდუქტის გაცემული რაოდენობა (გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი რეალიზებული რაოდენობა).

**31.**

**კითხვა:** უფლება აქვს თუ არა რეალიზატორს გააუქმოს რეცეპტი?

**პასუხი:** რეალიზატორს უფლება აქვს, გააპასიუროს/გააუქმოს არასწორად გამოწერილი ელექტრონული რეცეპტი, შესაბამის ველში გაუქმების მიზეზ(ებ)ის სავალდებულო მითითებით.

**32.**

**კითხვა:** იმ შემთხვევაში, თუ აფთიაქში მოხდა რეცეპტში მითითებული დოზირებული ფარმაცევტული პროდუქტის ჩანაცვლება იგივე მოქმედი აქტიური ნივთიერების განსხვავებული რაოდენობით შემცველი, იგივე წამლის ფორმის ადეკვატური რაოდენობით, როგორ უნდა მოხდეს პაციენტის/ ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები პირის ინფორმირება ფარმაცევტული პროდუქტის მიღების წესთან დაკავშირებით?

**პასუხი:** ამ შემთხვევაში ფარმაცევტული პროდუქტის გამცემი ვალდებულია, მის მიმღებს გაუწიოს კონსულტაცია რეალურად გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის მიღების წესთან დაკავშირებით.

**33.**

**კითხვა:** როგორ ხორციელდება აფთიაქში ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა ელექტრონული რეცეპტის მატერიალური ფორმის (PDF ვერსია) წარდგენის შემთხვევაში?

**პასუხი:** აფთიაქში ელექტრონული რეცეპტის მატერიალური ფორმის (PDF ვერსია) წარდგენის შემთხვევაში, ფარმაცევტული პროდუქტი გაიცემა „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით.

**34.**

**კითხვა:** როგორ არის უზრუნველყოფილი ელექტრონულ სისტემაში არსებული პაციენტის პერსონალურ მონაცემთა უკანონო გამოყენებისაგან დაცვა?

**პასუხი:** პაციენტის პირველადი რეგისტრაციისას იქმნება PDF ფორმატის დოკუმენტი, რომლითაც პაციენტს ეძლევა მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობით მას შეუძლია ელექტრონული სისტემისაგან მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემის გამოყენების თაობაზე კონკრეტული თარიღის, პერსონალური მონაცემის გამომყენებელი პირისა და მონაცემების გამოყენების მიზნების ჩვენებით (მიზნები შეიძლება იყოს: დანიშნულებების ნახვა, რეცეპტების ნახვა, კონკრეტული რეცეპტის რეალიზაციის ნახვა, პაციენტის პროფაილის მონაცემების შეცვლა). ექიმი, რომელიც პირველად არეგისტრირებს პაციენტს, ვალდებულია, გააცნოს მას აღნიშნული PDF ფორმატის დოკუმენტის შინაარსი (პაციენტთან შეთანხმებით დაბეჭდოს, ელექტრონული ფოსტით გაუგზავნოს და ა.შ.).

**35.**

**კითხვა:** რა პერიოდის განმავლობაში ხედავს ექიმი თავისი პაციენტის გაპასიურებულ/გაუქმებულ ელექტრონულ რეცეპტს?

**პასუხი:** გაპასიურებული/გაუქმებული ელექტრონული რეცეპტი ელექტრონულ სისტემაში ინახება 2 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც დაარქივდება.

**36.**

**კითხვა:** აფთიაქი ელექტრონულ სისტემაში პაციენტის პირადი ნომრის შეტანისას ხედავს აღნიშნული პაციენტის მხოლოდ აქტიურ/მოქმედ რეცეპტებს თუ გაპასიურებულ/გაუქმებულ რეცეპტებსაც?

**პასუხი:** ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორის მიერ ელექტრონულ სისტემაში პაციენტის პირადი ნომრის შეტანისას ელექტრონული სისტემიდან ჩამოიტვირთება პაციენტის ყველა აქტიური ელექტრონული რეცეპტი, ასევე, ამ პაციენტის გაპასიურებული/გაუქმებული ელექტრონული რეცეპტებიც, თუ მათი გაპასიურება/გაუქმებიდან არ არის გასული 3 თვეზე მეტი.

**37.**

**კითხვა:** სურვილის შემთხვევაში როგორ ხორციელდება ექიმების (მ.შ. კონკრეტული დაწესებულების ექიმების) ჩართვა ელექტრონული რეცეპტის მიმოქცევის სისტემაში?

**პასუხი:** სურვილის შემთხვევაში ექიმებმა, სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა მიმართონ სშჯსდ სამინისტროს ცხელ ხაზს - 15 05, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას (ინფორმაციის მიწოდება სშჯსდ სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტისათვის ექიმების ტრენინგის ორგანიზების მიზნით).

**38.**

**კითხვა:** როგორი დასახელებით გამოიწერება ფარმაცევტული პროდუქტი?

**პასუხი:** ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება გენერიკული დასახელებით (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, დამატებით მიეთითოს სავაჭრო დასახელებაც). არაგენერიკული და კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება სავაჭრო დასახელებით.

**39.**

**კითხვა:** როგორ მოიქცეს ექიმი იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონულ სისტემაში მონაცემების შეყვანის შემდეგ სისტემა უწერს, რომ მონაცემები არასწორია?

**პასუხი:** ამ შემთხვევაში ექიმმა უნდა გადაამოწმოს ჩართული ხომ არ არის ინგლისური კლავიატურა, „caps lock“-ი და/ან „Num lock“-ი. ამის შემდეგ მან ისევ უნდა სცადოს ავტორიზაცია.

**40.**

**კითხვა:** როგორ უნდა მოიქცე სისტემის მომხმარებელი, როცა ბრაუზერში არ ჩანს სისტემის ყველა დილაკი?

**პასუხი:** მან უნდა შეამციროს ბრაუზერის ზომები (zoom-ის შემცირება).

**41.**

**კითხვა:** როგორ უნდა მოიქცეს სისტემის მომხმარებელი - ექიმი, როცა ვერ ხერხდება დანიშნულების PDF ფორმატის გენერირება?

**პასუხი:** მან უნდა შეასწოროს „Pop-up Blocker“-ი და/ან თხოვოს შესაბამისი დაწესებულების IT თანამშრომელს, შეამოწმოს, ხომ არ ბლოკავს პროგრამა საიტს ან PDF ფორმატის დოკუმენტებს.

**42.**

**კითხვა:** როგორ ხდება მედიკამენტის შეძენა აფთიაქში ელექტრონული რეცეპტის საშუალებით?

**პასუხი:** პირველ რიგში პაციენტმა უნდა მიმართოს ექიმს, რომელიც მას გამოუწერს რეცეპტს ელექტრონული სისტემის საშუალებით. ამის შემდეგ პაციენტი/მისი ახლობელი მიდის აფთიაქში და რეალიზატორისადმი პაციენტის პირადი ნომრის წარდგენის საშუალებით შეიძენს მედიკამენტს (ელექტრონულ სისტემაში პირადი ნომრის შეყვანის შემდეგ რეალიზატორი ხედავს პაციენტისათვის გამოწერილ რეცეპტს).

**43.**

**კითხვა:** შეიძლება ვიყიდო მედიკამენტი მეზობლის, მეგობრის ან ოჯახის წევრისთვის?

**პასუხი:** დიახ, ამისათვის საკმარისია აფთიაქში წარადგინოთ თქვენი და პაციენტის (ვისთვისაც ყიდულობთ) პირადი ნომრები. თქვენ, ასევე, უნდა იცოდეთ იმ მედიკამენტის დასახელება, რომლის ყიდვასაც აპირებთ, რადგან პაციენტს, შესაძლოა, ელექტრონული სისტემის საშუალებით გამოწერილი ჰქონდეს რამდენიმე მედიკამენტი.

**44.**

**კითხვა:** როგორ მოვიქცე, თუ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც მივმართე ექიმთან ვიზიტის მიზნით, ელექტროენერგია არ არის?

**პასუხი:** რეცეპტის გამოწერა შესაძლებელია როგორც ელექტრონულად, ასევე, მატერიალური ფორმით. შესაბამისად, ექიმი რეცეპტს გამოგიწერთ ქაღალდის მატარებელზე.

**45.**

**კითხვა:** როგორ მოხდება რეცეპტის გამოწერა ექიმის ბინაზე ვიზიტის დროს?

**პასუხი:** ბინაზე ვიზიტის შემთხვევაში ექიმი რეცეპტს გამოწერს ქაღალდის მატარებელზე.

**46.**

**კითხვა:** როგორ დავიმასხოვრო ელექტრონულ რეცეპტზე გამოწერილი მედიკამენტების დასახელებები?

**პასუხი:** სთხოვეთ ექიმს, ამოგიბეჭდოთ ან დაგიწეროთ ფურცელზე დანიშნულება. უახლოეს მომავალში (სექტემბერი) შესაძლებლობა გექნებათ, შეხვიდეთ პაციენტის პორტალზე და ონლაინ-რეჟიმში დაინახოთ გამოწერილი მედიკამენტები და მათი მიღების წესი.

**47.**

**კითხვა:** როგორ უნდა მოვიქცე ელექტრონული რეცეპტის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით?

**პასუხი:** 24 საათიან რეჟიმში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს ნომერზე - 1505.